პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 25 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

268 (966) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## დაეხმარეთ „წითელ არმიელს". გამოიწერეთ ის.

უკვე მეხუთე წელია, რაც გამოდის ჩვენი გაზეთი „წითელ არმიელი". ის, ასე ვსთქვათ, დაიბადა ჩვენ ქართულ წითელ ჯართან ერთად. ამ ხნის განმავლობაში ის წარმატებით ემსახურებოდა ჩვენი წითელი ჯარის განმტკიცების და გაძლიერების საქმეს. მას მუდამ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა წითელ არმიელების სამხედრო და პოლიტიკურ მომზადების საქმეში.

მიუხედავად მრავალი ტეხნიკური დაბრკოლებისა და მატერიალური სივიწროვისა „წითელ არმიელი" მაინც გამოდიოდა და ვრცელდებოდა თითქმის უსასყიდლოთ.

წითელი არმიის აღმშენებლობის გაფართოვება, როგორც ტერსისტემის განვითარება, მოსახლეობის გასამხედროება, წვევამდე მომზადება და სხვა—ყოველივე ეს ჩვენი გაზეთის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, აფართოვებს და ართულებს მის მუშაობას.

თავის თავად ცხადია, ყოველივე ამის შესრულება გაზეთს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სათანადო მატერიალური საშუალებები ექნება.

ეს შესაძლებლობა ჩვენს გაზეთს დღეს არ აქვს.

ამავე დროს ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ—უნდა იარსებოს თუ არა „წითელ არმიელმა".

ცხადია, უნდა და აუცილებელ ც არის იარსებოს.

და აი აქ მას უნდა დაეხმაროს ისევ ჩვენი წითელი ჯარი.

დროა შეწყდეს მისი უფასოთ გავრცელება. ჩვენი ჯარის ნაწილებმა აქედანვე უნდა შეუდგენ ფართე და სისტემატიურ კამპანიას „წითელ არმიელზე" ხელის მოსაწერად.

აქ ბუნებრივად დაგვისვამენ ერთ კითხვას? როგორ შეუძლია წითელ არმიელს გამოიწეროს გაზეთი?

ამისათვის არსებობს კოლექტიური ხელის მოწერა.

ამ სახით წითელ არმიელებს სრულიად არ გაუჭირდებათ გაზეთის გამოწერა და მათ თამამად შეუძლიათ თავის პატარა სახსარიდან ყოველთვის გადასდონ რამოდენიმე კაპეიკი თავისი ორგანოსათვის.

განსაკუთრებით ჩვენმა ტერნაწილებმა უნდა ეცადონ გაავრცელონ „წითელ არმიელი" ცვალებადელთა შორის.

უნდა მივაღწიოთ მას, რომ ყოველი ცვალებადელი იწერდეს და კითხულობდეს „წითელ არმიელს" და თავის მხრივ ავრცელებდეს მას მოსახლეობის ფართე მასაში.

ამით ჩვენ ორ მიზანს მივაღწევთ. უფრო მჭიდროთ დავაკავშირებთ ცვალებად შემადგენლობას წითელი ჯარის ცხოვრებისა და მუშაობასთან, უფრო ნაყოფიერად ვაწარმოებთ მუშაობას მოსახლეობის გასამხედროების დარგში და ამავე დროს ხელს შევუწყობთ გაზეთის მატერიალურ მდგომარეობის განმტკიცებას.

„წითელ არმიელის" უფასოდ დაგზავნა შესწყდება მიმდინარე წლის პირველ დეკემბრიდან.

საჭიროა დაუყონებლივ შეუდგენ ნაწილები გაზეთის გამოწერას. ვისთვისაც ძვირფასია „წითელ არმიელი", მისი მოვალეობას შეადგენს გამოიწეროს ის.

წითელი ჯარი უნდა დაეხმაროს თავის საყვარელ ორგანოს.

გამოიწერეთ, ფართედ გაავრცელეთ „წითელ არმიელი".

ვინ პირველი!

## ახალი რადიო-ამბები

### საფრანგეთის ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ბრიანს.

#### ხმებია, რომ სოციალისტები უარს ამბობენ მთავრობაში შესვლაზე.

#### მემარჯვენეები სცდილობენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ფაშისტების დახმარებით.

საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა მიანდო მთავრობის შედგენა საგარეო საქმეთა მინისტრს ბრიანს. ბრიანმა მთავრობის შედგენის გარშემო ითათბირა თავის მეგობრებთან.

დეპუტატების შორის დადის ხმები, რომ ბრიანი შეინარჩუნებს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას, რადგანაც ის დიდ მნიშვნელობას აძლევს ურთიერთობის მოგვარებას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

როგორც ხმები დადის, სოციალისტები უარს ამბობენ მთავრობაში მონაწილეობაზე.

მემარჯვენე პარტიები სცდილობენ თან და თანობით ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება ფაშისტურ ორგანიზაციების დახმარებით.

### სამოქალაქო ომი ჩინეთში

#### სახალხო არმია ძლიერდება.

#### მუკდენის ჯარები გადადიან სახალხო არმიის მხარეზე.

#### პეკინში გაიმართა ფართე დემონსტრაცია საბაჟო დამოუკიდებლობის ლოზუნგით.

მეორე სახალხო არმია გადადის შეტევაზე სამი მიმართულებით. პეკინის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რათა მეორე არმიამ შეაჩეროს შეტევა. მიუხედავად ამისა ჯარები მაინც შევიდენ ქალაქ ბაოტინში. ხალხი სიხარულით შეეგება მათ.

ბაოტინში მუკდენის ჯარები მთელი იარაღებითა და საომარი მოწყობილობით გადავიდენ მეორე სახალხო არმიის მხარეზე.

პეკინში გაიმართა დემონსტრაცია საბაჟო დამოუკიდებლობის ლოზუნგით. მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციასა. ხალხმა დაანგრია პოლიციის შენობა.

### საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი უცვლელია

#### ამხ. ლიტვინოვის განცხადება.



მოსკოვში მყოფ უცხოეთის გაზეთების თანამშრომელთან საუბარში საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ამ ბოლო ხანებში ბურჟუაზიული გაზეთები ავრცელებენ ხმებს, თითქოს საბჭოთა მთავრობა სტოვებდეს თავის ძველ ხაზს ერთა ლიგისადმი დამოკიდებულებაში.

„მე საჭიროდ ვსთვლი—განაცხადა მან—გავფანტო ეს განგებ გავრცელებული ხმები. ერთა ლიგას ჩვენ ძველებურად ვსთვლით არა როგორც ხალხთა მეგობრულ გაერთიანებას, არამედ როგორც ეგრედ წოდებულ დიდ სახელმწიფოების შენიღბულ კავშირს, რომელსაც მიუთვისებია უფლება ათამაშოს სუსტი ერების ბედით. რომ დღეს მასში შედის დამარცხებული და სამხედრო მასიკ სუსტი გერმანია, ამით არ შეიცვლება ლიგის ხასიათი, სადაც ზოგიერთი სახელმწიფო ჰფიქრობს გამოიყენოს გერმანია როგორც თანაშემწე საერთოდ თავის გეგმების ასრულებაში და კერძოდ მტრული განზრახვების ასრულებაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ლიგა წარმოადგენს ნიღაბს, რომლის ქვეშაც სწარმოებს სამხედრო მზადება და მომავალი ჩაგვრა პატარა და სუსტ ეროვნებათა. ამიტომ ყოველგვარი ხმა რაღაც ცვლილების შესახებ საბჭოთა კავშირის პოზიციაში ერთა ლიგისა და მასთან ლოკარნოსადმი, ყოველგვარ საბუთს მოკლებულია. საბჭოთა კავშირი როგორც დღემდის, აწიც განზე იდგომება ასეთი ორგანიზაციებისაგან".

### ჩემბერლენის განცხადება სხვადასხვა ქვეყნებთან დამოკიდებულების შესახებ.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩემბერლენმა ერთ მიტინგზე ლონდონში განაცხადა: „სხვა ერებთან დამოკიდებულებაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ლოკარნოს ხელშეკრულებით. ჩვენ ყოველგვარ ღონისძიებას ვ ხმართ, რათა ავიშოროთ ყოველგვარი დაბრკოლება ამა თუ იმ ქვეყანასთან ურთიერთობაში.

კონსერვატორების გაზეთ „ობსერვერი"-ს აზრით ჩემბერლენის განცხადება ერთგვარ იმედებს ჰქმნის ინგლის—საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში.

## საბჭოთა კავშირი და ერთა ლიგა.

ამ ბოლო ხანებში ბურჟუაზიული და სოციალ გამყიდველების გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის შესვლის აუცილებლობის შესახებ ერთა ლიგაში. რამოდენიმეჯერ ეს აზრი გაიმეორეს თავის სიტყვებში ევროპის სხვა და სხვა ბურჟუაზიულ მოღვაწეებმაც. რაშია საქმე? რას ნიშნავს ეს მიპატიჟება ევროპის იმპერიალისტების მხრივ? რა არის ერთა ლიგა? ან და მართლადაც მოისურვებს საბჭოთა მთავრობა ერთა ლიგაში შესვლას?

აი საკითხები, რომლებშიდაც კარგად უნდა გაერკვიოს თითეული წითელი მებრძოლი და ქონდეს ნათელი წარმოდგენა მათზე.

პირველყოვლისა რა არის ერთა ლიგა? ეს არის ახსკილი იმპერიალისტური სახელმწიფოების კავშირი. რა მიზანი აქვს ამ ერთა ლიგას? მის წევრებს, რომ კითხო გიპასუხებენ, რომ ერთა ლიგა მშვიდობიანობის და ყველა ერების ინტერესების დამცველიაო. მართალია ეს? სრულიადაც არა. პირიქით, ერთა ლიგა—ეს მხოლოდ პირბადეა ისეთი მსხვილი ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის, როგორც ინგლისი, საფრანგეთი და სხვებია, რათა გაყვლიფონ მცირე ერები, დაიპყრონ ახალი მიწები და აწარმოონ საზიზღარი მტაცებლური პოლიტიკა.

ერთა ლიგა მშვიდობიანობას და ზავს კი არ იცავს, არამედ ახალ სისხლის მღვრელ ომების სამზადისს აწარმოებს. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება:

დღეს ყველამ კარგად იცის, თუ როგორი სიმხეცით უმასპინძლდება საფრანგეთის იმპერიალიზმი აჯანყებულ სირიელებს და რიფებს. ეს პატარა ერები იბრძვიან თავისუფლებისათვის მტარვალებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ.

სად არის ერთა ლიგა? რატომ სდუმს? რატომ არ გამოესარჩლება აჯანყებულ არაბებს? არც გამოესარჩლება. იმიტომ რომ ერთა ლიგა კაპიტალისტური ვეშაპების და მყვლეფელების ყაჩაღური ბუდეა.

და საბჭოთა სახელმწიფო, მუშურ გლეხური ხელისუფლება, რომელსაც სიყვარულის თვალით შესცქერის მშრომელთა მთელი ქვეყანა, არას დროს არ შევა ამ ბურჟუაზიულ ავაზაკების კავშირში. ეს კარგად იციან თვით ევროპის და მთელი ქვეყნის კაპიტალისტებმა და მემამულეებმა.

მაშ რატომ გვეპატიჟებიან? ეს არც ისე ძნელი გასაგებია. მათი მიპატიჟება—ეს მხოლოდ ხრიკია. იციან რა რომ ჩვენ არ შევალთ ერთა ლიგაში, ისინი მოგვიწოდებენ იმიტომ რომ ამით მშრომელთა ფართე მასებს მოაჩვენონ: „აი ხომ ხედავთ საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ ვიწვევთ ისეთ კეთილშობილ დაწესებულებაში, როგორიც ერთა ლიგაა, მაგრამ ისინი მშვიდობიანობის მტერია და ამიტომ თუ რაიმე ომი ან შეტაკება მოხდა, დანაშაულობაც საბჭოთა კავშირს აწვებაო". მაშასადამე ამ მიპატიჟებას განსაზღვრული მიზანი ჰქონია. და ეს საზიზღარი მიზანია—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევროპის მშრომელთა ფართე მასების საზოგადოებრივი აზრის ამხედრება.

ტყუილი ცდებია.

რამდენიც არ უნდა ეცადონ, ევროპის კაპიტალისტები და ყველა ჯურის მჩაგვრელები, ისინი ვერ აამხედრებენ იქაურ მშრომელთა მასებს მუშურ-გლეხური ქვეყნის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ მასებმა კარგად იციან ვინ არის მათი ერთგული მეგობარი—საბჭოთა კავშირი, თუ მსოფლიო მძარცველების ბუდე—ერთა ლიგა.

—უ.

## უცხო სიტყვათა ახსნა.

**ინდივიდუალური**—კერძო, პირადი.

**კოლექტიური**—ჯგუფური.

**ერთა ლიგა**—იმპერიალისტურ სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი საბჭო, სადაც ირჩევა ლიგაში შემავალ სახელმწიფოებს შორის აღძრული სადაო საკითხები.

**კომპენსაცია**—ანაზღაურება, დაკმაყოფილება.

**მატერიალური**—ქონებრივი.

**ფაშიზმი**—ბურჟუაზიის დიქტატურის უკიდურესი გამოხატულება, სადაც ეგრეწოდებული „დემოკრატიული თავისუფლებანი" უარყოფილია.

## ხანძარი ლეჩხუმის მაზრაში.

ლეჩხუმის მაზრაში თითქმის ორი კვირაა მძვინვარებს **ხანძარი.** მდგომარეობა შემაფიქრიანებელია.

განსაკუთრებით ძლიერია ხანძარი ქვემო სვანეთის წიწვიან ტყეებში.

## საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში.

### კერამიკული ქარხანა სვანეთში

სვანეთი, საქართველოს ყველა კუთხეებზე უფრო ჩამორჩენილათ ითვლება კულტურულათ. იქ დღემდე არავითარ წარმოებას ადგილი არა აქვს. სვანეთში დღესაც იშვიათია შუშეული და მინის ან თიხის ჭურჭლეულობა. მოთხოვნილება კი ასეთზე მეტად დიდია. სვანეთის სამაზრო აღმასკომმა ყველაფერ ამას გაუწია შესაფერი ანგარიში და მიზნათ დაისახა სვანეთში სხვა და სხვა წარმოებების მოწყობა. პირველ ხანებში გადაწყვეტილია მოეწყოს სვანეთში

კერამიკული ქარხანა.

ქარხნისათვის საჭირო მანქანები შეძენილ იქნება მთავრობის დახმარებით. მაგრამ პირველ ხანებში ქარხნის მოსაწყობათ მაინც საჭირო იქნება განსაზღვრული თანხა, რომლის მიღებაზეც სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე. ქარხანაში მოწვეულ იქნებიან სპეციალისტი-მოხელეები ტფილისიდან და სხვა ქალაქებიდან.

ქარხნის გაშენების ადგილი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არაა. იგი გაშენებული იქნება ან ს. ბეჩოში და ან ს. მესტიაში. მუშაობის დაწყება განზრახულია გაზაფხულიდან.

ცირკულიარი

## მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებისა

ქ. თბილისი 1925 წ. 24 ნოემბერი.

## ნაწილების ყველა სამხკომებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

მიმდინარე წლის პირველ დეკემბრიდან გაზეთი „წითელი არმიელის" უფასოდ გავრცელება შეწყდება, რაც გამოწვეულია გაზეთის უსახსრობის გამო. ზემოაღნიშნული რიცხვიდან თქვენც შეგიწყდებათ გაზეთის გამოგზავნა უფასოდ. ამიტომ საჭირო იქნება აქედანვე მიიღოთ სათანადო ზომები, რომ თქვენი ნაწილი არ დარჩეს უგაზეთოდ. ამ ცირკულიარის მიღებისთანავე პოლიტ-განყოფილება წინადადებას გაძლევთ:

1. მოიწვიეთ ნაწილებში საერთო კრებები და აქ დამსწრე ახალწვეულებს, წითელ არმიელებს და უფ პოლიტ-შემადგენლობას გაუკეთედ მოხსენებები ამ საკითხის ირგვლივ და მოუწოდეთ ყველას გამოიწერონ გაზეთი, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად.
2. ეს კამპანია საჭიროა ჩატარდეს ცვალებადელებშიაც და მათ შორისაც გატარდეს გაზეთზე ხელის მოწერა და მისი გავრცელება სოფლად.
3. კამპანიის გატარებას მიეცით სისტემატიური, მუდმივი ხასიათი და მის ჩატარებაში ჩააბით კომპარტიისა და კომკავშირის წევრები და ნაწილის სამხკორები.
4. გაზეთის გამოწერა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, ყოველგვარ იძულების გარეშე.
5. კამპანიის გატარების შედეგებზე ეცნობოს პოლიტ-განყოფილებას წერილობით მოხსენებებში.

მე-2-ე ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების უფროსი მარქაროვი.

**ახალწვეულო! გამოიწერე გაზეთი „წითელი არმიელი". ის შენი საუკეთესო მეგობარია!**

## ახალწვეულო, გულმოდგინეთ შეუდექი სამხედრო საქმის შესწავლას.

### პირველი საჩვენებელი გასროლა.

1-ლ დეკემბრიდან ახალგაზრდა მეომრები შეუდგებიან ნორმალურ მეცადინეობას. დაიწყება სამხედრო საქმის სხვა და სხვა დარგის შესწავლა, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განყოფილება არის სროლის საქმე. როგორც სწავლების მნიშვნელოვან განყოფილებას, სროლის საქმეს პროგრამაში დათმობილი აქვს საკმაო დრო და საერთოდ მიქცეული აქვს სერიოზული ყურადღება.

მაგრამ სროლის საქმის შესწავლა უნაკლულოდ რომ სწარმოებდეს, ამისთვის საჭირო სწავლების წესი ისეთი გვქონდეს, რომელიც მოკლე დროში რაც შეიძლება მეტ ცოდნას აძლევდეს ახალგაზრდა მეომარს.

მეცადინეობის დაწყებისას სროლის საქმეში ერთერთი გამოცდილი საშუალება—ეს არის საჩვენებელი გამსროლა. ეს გასროლა მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდა მეომართა ასეულის წინაშე ნაჩვენები იქნება თოფის გამზადება, განიშნება და გასროლა საბრძოლო ვაზნით. ამის შემდეგ ყველა მეომრები მონაწილეობას ღებულობენ იმ საკითხების გარჩევაში, რომლებიც წარმოიშვა ამ გასროლით და არკვევენ: რა უნდა გააკეთო პირველად, რომ გასროლისთვის მოემზადო; როგორ უნდა გაისროლო; რისგან წარმოსდგება გასროლა; მისი ჭრის ძალა და მოხვედრის მანძილი; ვაზნის აგებულობა; შაშხანის ნაწილები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ დამიზნებაში, ფეხის გაშლაში და საერთოდ გასროლაში და სხვა. ყველა ამ საკითხებს მეომრები დაუსვამენ მეთაურს იმის შემდეგ, როცა ისინი თვით დაინახავენ, თუ როგორ მოხდა გასროლა. ამასთან გასროლის წინ დიდხანს არ უნდა შეჩერდეთ წვრილმანების ახსნაზე; აქ უნდა მივცეთ შესაძლებლობა თვით მეომრებს ახსნან გასროლით გამოწვეული ზოგიერთი მოვლენები. წინასწარი ახსნა უნდა იყოს მოკლე, მაგ: ეხლა ასეულში (ოცეულში) ნაჩვენები იქნება როგორ უნდა გავისროლოთ შაშხანიდან. ამიტომ ყველამ თვალყური ადევნოს მეთაურის მოქმედებას (რომელიც ემზადება გასროლისთვის).

რამოდენიმე გასროლის შემდეგ უნდა მიიყვანო მეომრები სანიშნო დაფასთან და ანახო—რა მოხდა. სანიშნო დაფის დათვალიერების, მოხვედრის რაოდენობისა და თავისებურობის გაგების შემდეგ უნდა დაანაწილო მეომრები ოცეულებად (ათეულებად) და დაიწყო პირველი მეცადინეობა სროლის საქმეში, სადაც უნდა დაემყარო იმ დასკვნებს, რომლებიც გამოტანილ იქნა გასროლის დროს.

ახალგაზრდა მეომრებმა გასროლის დროს მხედველობაში უნდა იქონიონ შემდეგი: 1) ყურადღებით უნდა ადევნონ თვალყური მეთაურის ყოველ მოძრაობას; 2) გასროლის შემდეგ უნდა მისცენ შეკითხვა გაუგებარ მოვლენის ასახსნელად და არ უნდა მოეშვან მანამ, სანამ არ გამოარკვევენ გასროლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მხოლოდ სროლის სწავლებისადმი ასეთ მიდგომას შეუძლია კარგი შედეგების მოტანა.

ი. ბარ.

## შეისწავლე 1 05 წლის რევოლიუცია.

### რას ასწავლიდა ხალხს ბოლშევიკური პარტია 1905 წელში.

1903 წელს მეორე პარტიულ ყრილობაზე სოციალ-დემოკრატიული პარტია გაიყო ორ ნაწილად: ბოლშევიკებად და მენშევიკებად.

მენშევიკებს სურდათ შემოეშვათ პარტიაში რაც შეიძლება მეტი ინტელიგენცია (პროფესორები, ვექილები და სხვა) ისე, რომ მას არ აკისრებდა სხვა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში შესვლასა და პარტიის დისციპლინისადმი დამორჩილებას. ამრიგად პარტია უნდა გადაქცეულიყო დომხალად, რომლის შექმას ადვილად შესძლებდა ბურჟუაზია.

ლენინმა სასტიკად გაილაშქრა ასეთი გეგმის წინააღმდეგ და იცავდა იმ აზრს, რომ პარტიის წევრი უნდა იყოს რევოლიუციონური მუშაკი, მუშათა საქმისადმი დავდადებული, რომ ის აუცილებლად უნდა შედიოდეს ადგილობრივ ორგანიზაციაში, ეწეოდეს რევოლიუციონურ მუშაობას და სავსებით ემორჩილებოდეს პარტიულ დისციპლინას. აი სწორედ ამ საკითხის გარშემო მოხდა განხეთქილება.

1905 წელში ეს განხეთქილება კიდევ უფრო გაღრმავდა. მენშევიკები მომავალ რევოლიუციას სთვლიდენ ბურჟუაზიულ რევოლიუციად და სცდილობდენ დაემორჩილებიათ მუშათა კლასი ბურჟუაზიის მიზნებისთვის, მუშათა კლასი, მენშევიკების მითითებით, უნდა დახმარებოდა მხოლოდ ბურჟუაზიას ძალა-უფლების ხელში ჩაგდებაზე.

გლეხობა მენშევიკებს სრულიად გამორიცხული ჰყავდა რევოლიუციიდან, როგორც ბნელი, გაუწვრთნელი და რევოლიუციონურ ბრძოლისთვის უვარგისი მასა.

სულ სხვა შეხედულების იყო ბოლშევიკები რევოლიუციაზე და სულ სხვას ასწავლიდენ მუშებსა და გლეხებს.

რუსეთის ბურჟუაზია—ამტკიცებდენ ბოლშევიკები—სრულებით არაა რევოლიუციონური,—მას თვითმპყრობლობაზე უფრო ეშინია მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური მოძრაობის და მალე შეუთანხმდება მეფეს. ამიტომ ბოლშევიკები არამც თუ არ ურჩევდენ მუშებს დახმარებოდენ ბურჟუაზიას, არამედ მოუწოდებდენ მათ გადამჭრელი ბრძოლისკენ მეფისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. როგორც მუშების ერთად ერთ მოკავშირეს, ბოლშევიკები უსახელებდენ მათ გლეხობას.

გლეხობა, როგორც მუშები, დაინტერესებულია რევოლიუციის სრული გამარჯვებით, ვინაიდან ასეთი გამარჯვების გარეშე შეუძლებელია მემამულეებზე მიწების ჩამორთმევა. მაშასადამე, რევოლიუციაში ბოლშევიკები ხედავდენ ორ რევოლიუციონურ ძალას: მუშებსა და გლეხებს.

რა გზით შეიძლება გაიმარჯვოს რევოლიუციამ? ბოლშევიკები უპასუხებდენ: მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებით. ამიტომ საჭირო იყო ყოველმხრივი მზადება აჯანყებისთვის: მუშების შეიარაღება და სამხედრო საქმის სწავლება, მათი გაერთიანება მებრძოლ რაზმებად და სხვა.

მენშევიკები ასეთი მზადების წინააღმდეგი იყვენ, ვინაიდან ეშინოდათ არ დაეფრთხოთ და ჩამოეშორებიათ რევოლიციაზე ბურჟუაზია.

რა უნდა ვაკეთოთ რევოლიუციონური გამარჯვების მეორე დღეს? ამ საკითხზეც ბოლშევიკები იძლეოდენ სწორ პასუხს, თვითმპყრობელობის ჩამოგდების შემდეგ დაუყონებლივ უნდა შესდგეს დროებითი რევოლიუციონური მთავრობა მუშებისა და გლეხებისაგან. უნდა შევიდენ თუ არა ამ მთავრობაში სოციალ-დემოკრატები? და აი ამ კითხვაზე მენშევიკები, რომლებიც 1917 წელში შევიდენ ბურჟუაზიულ დროებითი მთავრობაში, მაშინ 1905 წელში, როცა საკითხი რევოლიუციონურ მთავრობას ეხებოდა—ისინი უპასუხებდენ: არა. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც ზევით ვსთქვით, ეშინოდათ ბურჟუაზიის დაფრთხობის.

ბოლშევიკები კი, პირიქით, იმ აზრს იცავდენ, რომ საჭიროა ასეთ მთავრობაში შესვლა. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ მთავრობას შეუძლია ძირფესიანად აღმოფხვრას თვითმპყრობელობა და დაარსოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება მუშებისა და გლეხებისთვის.

1905 წლის აპრილში მოხდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესამე ყრილობა. ამ ყრილობაზე მენშევიკები ცოტა აღმოჩნდენ და ისინი სულ წავიდენ ყრილობიდან. ბოლშევიკების მესამე ყრილობამ ხმამაღლა განუცხადა მუშებსა და გლეხებს, რომ რევოლიუციონური გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით. ყრილობამ გააფრთხილა მუშები და გლეხები ბურჟუაზიის მხრივ აუცილებლივ ღალატისა და გამცემლობის შესახებ და ურჩია მათ არ მოტყუვილებულიყვენ მათი ფანდებითა და დაპირებებით.

ყრილობამ მოუწოდა გლეხებს რევოლიუციონური ორგანიზაციების—გლეხთა რევოლიუციონური კომიტეტების შექმნისაკენ. და ბოლოს ყრილობამ მიუთითა, რომ რევოლიუციის გამარჯვება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მუშებისა და გლეხების მტკიცე რევოლიუციონური კავშირით.

რევოლიუციის შედეგმა მიმდინარეობამ დაამტკიცა ბოლშევიკური მოძღვრების სიმართლე.

ა. ფ.

## დაიცავი წესრიგი საცხოვრებელ ბინაში.

### სისუფთავე ჯანმრთელობის მთავარი პირობაა.

ყოველ საერთო საცხოვრებელ ბინაში არსებობს განსაზღვრული წესრიგი. ეს მით უფრო საჭიროა ყაზარმაში. პირველყოვლისა აქ განაწილებულია დღე და ღამის დრო. დანიშნულია საათები ადგომის, მეცადინეობის, სადილის, დასასვენებელი და სხვა. ცხადია, ასეთი წესრიგის დაცვა ყველასათვის სავალდებულოა. ეს აუცილებელია არა მარტო სამსახურის, არამედ თვით მეომართა ინტერესებისათვის. თვითეულ მეომარმა უნდა დაიცვას არსებული წესრიგი, რათა სხვები არ შეავიწროვოს. მაგ. არ შეიძლება სიმღერა, ხმა მაღლა ლაპარაკი და ხმაურობა, როცა სხვები ისვენებენ.

შემდეგ, თვითეული მეომარი უნდა იცავდეს სისუფთავეს და უფრთხილდებოდეს ტანსაცმელს. საკუთარი სისუფთავე და სიფაქიზე აუცილებელია არა მარტო საკუთარი, არამედ იმ ამხანაგების ჯანმრთელობისათვისაც, რომლებთანაც სცხოვრობ. ამიტომ ჭამის წინ ყოველთვის უნდა დაიბანო ხელები, დილით პირის დაბანისა და ჭამის შემდეგ უნდა გამოირეცხო პირი. დანიშნულ დროს უნდა გასწმინდო ტანსაცმელი, მოწყობილობა, გაფერთხო ლოგინი და იარო აბანოში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამალო ავადმყოფობა, რათა არ გადაედოს ის სხვებსაც. ამას გარდა უნდა გახსოვდეს, რომ თუ ავადმყოფობას თავის დროზე ყურადღება არ მიაქციე, ძნელი იქნება მისი მორჩენა.

ბოლოს, სასტიკად უნდა დაიცვა სისუფთავე და წესრიგი საცხოვრებელ ბინაში და თვალყური უნდა ადევნო ამ მხრივ სხვებსაც. ყველასათვის ცხადია, რომ ჭუჭყის, მტვერისა და დახუთული ჰაერისაგან ჩნდება ავადმყოფობანი, რომლებიც ანადგურებენ ჯანსაღ ადამიანებს.

პ.

# წითელ არმიელებო, მეთაურებო და პოლიტმომუშავენო! დაეხმარეთ „წითელ არმიელს“. გააძლიერეთ ის მატერიალურად კოლექტიური და ინდივიდუალური ხელის მოწერით!

## ახალწვეულები ჩვენ მუშაობაში.

**2-რე არტლეგდივიზიონი.**

2-რე საარტილერიო დივიზიონის ყაზარმები უკვე შეივსენ ახალ წვეულებით. კარანტინიდან გადმოსვლის შემდეგ მთელი მათი ყურადღება მიქცეული იქნა სამხედრო და პოლიტცოდნის შეძენისაკენ. ამხ. მოსვლის თანავე მოგვიხდა ყაზარმების გამოცვლა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც შევძელით ლენინის კუთხეების მოწყობა, მათში ახალწვეულ ამხანაგების ჩაბმა. არ გვტოვებენ აგრეთვე ჩვენი ახალი მეთაურები, რომლებიც მოდიან სალამოობით და მეგობრული საუბრებით ახალი'ებენ ახალწვეულებს, აცნობენ მათ წესდებებს და ახალ მიღწევებს საარტილერიო საქმეში. ამხანაგების ასეთი ყურადღებით მოპყრობა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მათში.

ამნაირად მუშაობის ნაყოფიერად წარმოებისათვის ყველაფერი გვიწყობს ხელს გარდა იმ გარემოებისა რომ ყაზარმებში თითქმის ბნელა ღამღამობით. არ არის განათება. იმედია სამნეო ნაწილის უფროსი რაც შეიძლება ჩქარა მიიღებს ამაზე ზომებს და მოგვეცემა განათება.

წ. არმ. ალ. პაპოვი.

## პოლიტსაათები ენერგიულად ტარდება.

**მეთაურთა სამხ. სკოლის სამწყ. ასეული.**

ასეულში მოგვივიდა ახალი პოლიტხელი, რომელიც ენერგიულად ეკიდება წითელ არმიელებთან საუბრების ჩატარებას. ამას გარდა ამხანაგმა ყაზარმები და ლენინის კუთხე მორთო რევოლიუციის ბელადების სურათებით, მიიღო ზომები ლენკუთხის სათანადო ლიტერატურით უზრუნველსაყოფად და მრავალი სხვა. თავისუფალ საათებში, პოლიტსაათების გარდა ამხ. ყოველთვის ჩვენთან იმყოფება, გვესაუბრება სხვადასხვა საინტერესო თემებზე.

ახალწვეული არმიელები გულმოდგინეთ ჰკიდებენ ხელს მეცადინეობას. ყოველთვის ლენინის კუთხეში სხდიან და კითხულობენ ბროშიურებს და ჟურნალ-გაზეთებს.

წ. არმ. ლუკა ხახუტაშვილი.

## გამოგვიწერეთ გაზ. „ახალგაზრდათა კომუნისტი“.

**მეექვსე ლეგიონი.**

ხსენებული ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლაში ამჟამად ირიცხება საკმაო რიცხვი ახალწვეულ ახკომკავშირელებისა, რომლებიც წითელ ჯარში მოსვლამდე ვმუშაობდით სხვა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებში. ამ ხანებში ჩვენ განუწყვეტლათ კავშირი გვქონდა ჩვენს გაზეთ „სპარტაკთან“, რითაც ვებულობდით ჩვენს საქმიანობას და სხვა.

წითელ ჯარში მოსვლის შემდეგ ეს გაზეთი აღარ წაგვიკითხავს. მისი გამოცემა დროებით შეწყვეტილა. პირველ დეკემბრიდან კი კვლავ განახლდება ეს გაზეთი და გამოიცემა ახალი სახელწოდებით: „ახალგაზრდათა კომუნისტი“. საჭიროა ეხლავე მიღებულ იქნას სათანადო ზომები, რომ დროზე გამოვიწეროთ ეს გაზეთი.

ამასთანავე ერთად ერთ გარემოებას უნდა მიექ ეს ყურადღება ჩვენს ნაწილში. გვაქვს ლენინის კუთხეები, სადაც აწყვია მრავალი სხვა და სხვა გაზეთები. აქ ხშირად ადგილი აქვს ოხუნჯობას და დაუსრულებელ ლაყბობას, რითაც ხელს უშლიან გაზეთის მკითხველებს და სხვა.

დროა შეიგნონ ამხანაგებმა, რომ ყოველივე ამას დაუყონებლივ ბოლო მოეღოს ლენინის კუთხეებში.

ახალწვეული მუსერიძე.

## იმედები გაგვიმართლდა.

**1 ლი ლეგ. საკავშირო გუნდი.**

ზუგდიდის მაზრის ახალგაზრდობა და პატიოსანი გლეხები დიდის აღტაცებით შეხვდენ წითელ ჯარში გაწვევას. ყოფილი წითელ არმიელები, რომლებიც დაუბრუნდენ ჩვენს სოფლებს წითელი ყაზარმებიდან აღტაცებით გვიამბობდენ წითელი ყაზარმის ცხოვრებაზე და მოგვიწოდებდენ საჩქაროდ, ხალისიანად მიგვეშურებია წ. ჯარის რიგებისაკენ თუ გვაინტერესებდა ყოველმხრივი განვითარება სამხედრო ცოდნის შეძენასთან ერთად.

კენჭის ამოღებაზედაც უარი განვაცხადეთ და გამოვეშურეთ ყაზარმისაკენ. ჩვენი იმედები სრულიად გამართლდა. აქ დიდი აღტაცებით შეგვხდენ მეთაურები და ძველი წითელ არმიელები, რომლებიც ყველაფერზე მეგობრულად გველაპარაკებიან, გვასწავლიან და ჩვენც ყურადღებით ვეკიდებით ყველა ამას.

ვსწავლობთ სამხედრო წესებს, ვიძენთ სამხედრო ცოდნას, რომ საჭიროების დროს დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება მტრებისაგან და სოფელში დაბრუნებისას კი აქ შეძენილი ცოდნა გამოვიყენოთ გლეხობის საკეთილდღეო მუშაობაში.

გაუმარჯოს ჩვენს მომავალ მუშაობას.

ახალწვეული კუჭავა.

## გავაჩაღეთ კულტურული მუშაობა.

**ცხენ. ლეგიონი.**

ლეგიონში ახალწვეულების მოსვლასთან ერთად დაარსებული იქნა სხვა და სხვა წრეები, რომლებიც სისტემატიურად აწარმოებენ მუშაობას. გარდა ამისა, ლეგიონის კლუბი ყოველ შაბათ-კვირაობით უშვებს წარმოდგენებს, რომლებსაც სისტემატიურად ესწრებიან საპონტრესტის მუშამოსამსახურეები და სხვა სამხედრო ნაწილების წითელ არმიელები. ასეთი გარემოება მჭიდროდ გვაკავშირებს მუშებთან და არმიელებთან. ვეცნობით ერთმანეთის მდგომარეობას, ცხოვრებას, კულტურულ საქმიანობას და სხვა.

იმედია დაწყებული მუშაობა არ შესუსტდება და უფრო ნაყოფიერად იწარმოებს მომავალში.

სამხ. ცხენისწყლისპირელი.

## მადლობის ღირსი არიან ასეთი უფროსები.

**ცხენოსანი ლეგიონი.**

ჩვენი ნაწილის მეორე ესკადრონის თავი და პირველი ესკადრონის პოლიტ-ხელი ყოველ თავისუფალ საათებში დასხდებიან ჩვენთან ერთად და გვიხსნიან გასაგები ენით სამხედრო წესდებებს და პოლიტიკურ საქმეებს. ისინი გვაცნობენ ჩვენ თუ როგორია წითელი ჯარის დისციპლინა, რა მოვალეობა აწევთ კომპარტიისა და კომკავშირის წევრებს და სხვა.

ამასთანავე ერთად უფროსები გვასწავლიან თუ რა არის გაზეთი, რა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის და როგორ უნდა მივიღოთ მასში მონაწილეობა, როგორი წერილები უნდა მივაწოდოთ რედაქციას და სხ. ჩვენ იმათ ვაძლევთ მრავალ შეკითხვებს ჩვენთვის გაუგებარ და საინტერესო საკითხებზე, რაზედაც ისინი გვაძლევენ დამაკმაყოფილებელ პასუხს.

ჩვენ, ახალწვეულებმა სულ ორი კვირაა რაც გავიცანით წითელი ყაზარმა და ამ ხნის განმავლობაში მან დიდი ცოდნა შეგვძინა და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

ახალწვეულები ფიცსა ვსდებთ, რომ პირნათლად შევასრულოთ ყოველივე დავალება და კარგათაც შევისწავლოთ სამხედრო და პოლიტიკური საქმე.

ჩვენი მადლობა ჩვენს უფროსებს, რომლებიც გულმოდგინეთ და დაუზარებლად მუშაობენ ჩვენდა საკეთილდღეოთ.

სამხედრო პ. ნადარეიშვილი.

## სამხედრო!

გაავრცელე გაზ. „წითელ არმიელი“. მოუწოდე ყველას გამოიწერონ ის. ეს შენი ვალია!

## ახალი ძალები.

**მე 5 ლეგ. სკოლის გამოშვება.**

20 ნოემბერს ლეგიონის სკოლამ გამოუშვა 70 კარგად მომზადებული უმცროსი მეთაურები, რომლებიც ახალი ენერგიით და ენტუზიაზმით მოევლინებიან ჩვენი ნაწილების რიგებს.

კურსანტთა შემადგენლობა იყო ასეთი: 10 აფხაზი და 10 აჭარელი, ხოლო 50 კი ქართველები.

ექვსი თვის განმავლობაში სკოლის უფ-პოლიტ-შემადგენლობა ენერგიულად ამაცადინებდენ ამხანაგებს და კიდევაც შეძლეს მათი საუკეთესოდ მომზადება. ეს მშვენივრად დამტკიცდა გამოცდებით.

ამხანაგები ამ დღეებში გაემგზავრებიან ლეგიონის სხვა და სხვა წერტებზე, რომლებიც იმედია ღირსეულ მხედრებად აღზრდიან ახალწვეულ წითელ არმიელებს.

გაუმარჯოს მათ აღმზრდელ უფროს ამხანაგებს და გაუმარჯოს მათ მომავალ ნაყოფიერ მუშაობას.

სამხედრო თ—კო.

## მოვსპოთ უშვერი სიტყვების ხმარება.

**მე 2 მ. სანგრე ასეულის ხელმძღვანელთა საყურადღებოთ.**

მე-2 დივიზიის მესანგრე და საკავშირო ასეულები მოთავსებული არიან ერთ შენობაში. პირველ ხანებში საკავშირო ასეულის წითელ არმიელებიც ხმარობდენ უწმაწურ სიტყვებს მიმართვისა და საუბრის დროს, მაგრამ მეთაურების მეოხებით სასწრაფოდ იქნა აღმოფხვრილი ეს ჩვეულება.

ამავე დროს ჩვენს გვერდში მდგომი მესანგრე ახალწვეულებისაგან იშვიათად გაიგონებთ ზრდილობიან სიტყვას. საკვირველია თუ ამჩნევენ, რად არ აფრთხილებენ ასეულის მეთაურები ამ ამხანაგებს.

უნდა იცოდენ მესანგრე ახალწვეულებმა, რომ თავისი ასეთი საქციელით ჩირქს სცხებენ წითელ ლაშქარს. დროა საჭირო ზომები მიიღონ ასეულის მეთაურებმა ამ სამწუხარო მოვლენის წინააღმდეგ.

ახალწვეული ქ—ა.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ახალციხის მაზრის სოფ. უდეს ქოხ-სამკითხველოსათვის ერთი თვით და ვიწვევ ამავე სოფლიდან შემდეგ ამხანაგებს გამოიწერონ ხსენებული გაზეთი: 1) პავლე აბულაძეს, 2) ანდრია გაბოშვილს, 3) სარგის მარტიაშვილს, 4) გიორგი ალოშაშვილს, 5) პეტრე მერაბიშვილს, 6) თედორე აზირაშვილს, 7) ვანო მესაბიშვილს, 8) ვანო სარაშვილს, 9) პავლე თათოშვილს, 10) პავლე მაისურაძეს, 11) მიხა ჩილოშვილს, 12) პეტრე მამაცაშვილს, 13) ვასო დიდიმაშიშვილს, 14) სტ. გზირიშვილს და 15) გაბო ბალახაშვილს.

სოფ. უდეს მცხოვრები ანდრო თათოშვილი.

## გავაჩაღეთ 1903წ. დაბ. ცვალებადელებთან მუშაობა.

**მე-2 მესანგრე და საკავშირო ასეულები.**

22 ნოემბერს შესდგა 1903 წ. დაბ. ხსენებულ ასეულებზე მიწერილ ცვალებადელების საერთო კრება, ასეულების ძირედ შემადგენლობასთან ერთად. ცვალებადელები უკლებლივ დაესწრენ.

კრებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საკავშირო ასეულის მეთაური ამხ. ებანოიძე, რომელმაც გააცნო ამხანაგებს ტერსისტემის მნიშვნელობა და მისი ამოცანები. ამხანაგი შეეხო აგრეთვე ცვალებადელებისაგან სამხედრო სამსახურის გავლის წესებს თუ როგორ უნდა შეასრულონ ცვალებადელებმა მათზე დაკისრებული მოვალეობანი და მრავალი სხვა.

მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, თუ როგორი შეღავათები ენიჭებათ ძირედ და ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელებს.

ბოლოს ამხანაგი შეეხო დისციპლინის დარღვევას და განუმარტა ამხანაგებს, თუ დისციპლინის დარღვევის სხვა და სხვა შემთხვევებში, როგორი სასჯელია გათვალისწინებული სამხედრო წესდებით.

შემდეგი მოხსენებით გამოვიდა მესანგრეთა ასეულის სამხედრო კომისარი ამხ. ჯავახოვი, რომელმაც გააშუქა ცვალებადელების მომავალი მუშაობა სოფლად და მათი კავშირი ძირედ შემადგენლობის არმიელებთან.

ამხ. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას თუ როგორი უნდა იქნას ეს კავშირი, რომელიც გაგრძელდება საერთო შეკრებამდე.

ამის შემდეგ მან მოუწოდა ცვალებადელებს ენერგიული ზომები მიიღონ გაზ. „წითელ არმიელის“ სოფლის მოსახლეობას ფართო მასებში გასავრცელებლად, რადგან მოსახლეობის გასამხედროებისათვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვსო.

მოხსენებები გადათარგმნილი იქნა რუსულადაც, რის შემდეგ კრებამ ამოირჩია სარაიონო კომისიები, მუშაობის გეგმის გამოსამუშავებლად. 28 ნოემბერს შესდგება ამ კომისიებისა და ტერნაწილების გაერთიანებული სხდომა.

სამხედრო გ. სანდროშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი.

**სანამდე უნდა ვიქნეთ ამ მდგომარეობაში.**

**ცხენ. ლეგიონი.**

ლეგიონის პირველ ესკადრონში არა გვაქვს საწოლი „კოიკები“. ასეთ მდგომარეობაში ვართ მას შემდეგ რაც წითელ ყაზარმაში მოვედით. ახალწვეულების უმეტესობა იატაკზე წვება, ხოლო როდესაც ძველი არმიელები წავლენ განწესებაში, ვსარგებლობთ მათი საწოლებით.

ზოგიერთებს არა გვაქვს აგრეთვე მატრასები და საზამთრო საბნები. არც მაზარები აქვთ ყველას. დროა ყოველივე ეს ნაკლი გამოსწორებული იქნას.

ახალწვეული ცეცხლი.

### მოგვეცით სკამები კლუბისთვის.

**მეთაურთა სკოლა.**

ყოველი წარმოდგენის დადგმას ან სხვა რაიმე გასართობის მოწყობის დროს სკოლის კლუბში გვიხდება სასადილოდან ამოვიტანოთ სკამები, რაც დიდ უხერხულობას იწვევს და ბევრ დროს მოითხოვს. ნუ თუ ასე შეუძლებელია კლუბისთვის შეიძინონ საჭირო გრძელი სკამები მაინც და ბოლო მოუღონ ასეთ აურ-ზაურს ყოველი წარმოდგენის დროს?

სამხედრო ალ. ჯინჯერთაული.

### გვაკლია ჩაის სასმელი „კრუშკები“.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონის ესკადრონებში ყველა წითელ არმიელებისათვის არ მოიპოვება ჩაის სასმელი კრუშკები, რის გამო ბევრს მათლაფებით უხდებათ ჩაის სმა. ამის გამო ხშირად ყოფილა წითელ არმიელების დამდუღვრის შემთხვევა. საჭიროა მნე იზრუნებდეს ამისთვის და მოგვცეს აღნიშნული „კრუშკები“.

სამხკორი პ. კ—ძეს.

# უცხოეთის არმიებში

## სასწავლებლების გასამხედროება პოლონეთში.

**ჩვენმა მოსწავლეებმა პოლონეთის ახალგაზრდობაზე უფრო კარგად უნდა შეისწავლონ სამხედრო საქმე.**

პოლონეთის სასწავლებლებში მთელი წლის განმავლობაში სწარმოებს სამხედრო მომზადება: სწავლის დროს—სპეციალურად შედგენილ სასწავლებლის სამხედრო რაზმში, ხოლო ზაფხულობით კი სპეციალურ ბანაკებში. თითეული სასწავლებელში სდგება სკოლის რაზმი; იმის და მიხედვით თუ როგორი საფეხურის სკოლაა, რაზმი იყოფა ასეულებად, გუნდებათ და განყოფილებებად.

სამხედრო მომზადებას ხელმძღვანელობს ოფიცერი—ინსტრუქტორი. იგივე ინსტრუქტორი ხელმძღვანელობს ამ საქმეს განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოთავსებულ სასწავლებლებში, რომელსაც ნიშნავს სამაზრო შევსების სამმართველო.

მოსწავლეებისათვის სამხედრო სწავლების პროგრამა შემდეგია:

ა) ფიზიკური აღზრდა (აქ შედის აგრეთვე საგრანატო—საპორტსმენო საქმე და ფარიკაობა).

ბ) იარაღისა და მსროლელის ყველა ვალდებულებათა გაცნობა: გ) სპეციალურ ტეხნიკურ ცნობებისა, გზების მნიშვნელობასა და ქვეყნის თავდაცვითი საშვალებებისადმი დაწვრილებითი გაცნობა.

მთელი ეს პროგრამა შეიძლება გაყოფილი იქნეს ორ საფეხურად: პირველი საფეხური შეესაბამება ფეხოსან რიგის ჯარის კაცთა სკოლის პროგრამას, ხოლო მეორე—ფეხოსან უმცროს მეთაურთა სკოლის პროგრამას. ამას გარდა ტეხნიკურსა და პროფესიონალურ სკოლებში გადიან აგრეთვე სპეციალური ნაწილების პროგრამასაც. (არტილერია და ტეხნიკური ჯარები).

კვირაში თითეული რაზმი გადის 4 ვარჯიშს—თითეულს 50 წუთის განმავლობაში.

საერთო განათლების საგნების პროგრამებში შედის აგრეთვე სამხედრო საქმეც.

მაგალითად, ქიმიაში გადიან ცნობებს პიროტეხნიკიდან, ისტორიაში—ცნობებს სამხედრო ისტორიიდან, გეოგრაფიაში—ცნობებს ტოპოგრაფიიდან და მრავალი სხვა.

მხოლოდ ამ კურსის გავლის შემდეგ უშვებენ მოსწავლეებს გამოცდებზე და ჩაბარების შემდეგ ეძლევათ სიმწიფის მოწმობები

ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის დროს ასეთი კურს დამთავრებულები სარგებლობენ შეღავათებით—ისინი უფრო ჩქარა ათავებენ სამსახურს.

იარაღით, წესდებებით, ტეხნიკური ქონებით საომარი მასალებითა და სხვებით სკოლის რაზმს აკმაყოფილებს სკოლასთან ახლო მდგომი, რომელიმე სამხედრო ნაწილი.

სკოლების გასამხედროების საკითხი იმდენად კარგად არის დაყენებული, რომ პოლონეთში არ მოიპოება ისეთი საშვალო სასწავლებელი, სადაც ასეთი რაზმი არ იყოს შემდგარი.

ყველა ამ რაზმებს აქვთ ერთი მიზანი—ოფიცრობისათვის მომზადება.

1923 წელს მოახდინეს მასწავლებლების ხელახალი—განმეორებითი მომზადება იმ მიზნით, რომ მათგან შეექმნათ კარგად მომზადებული ინსტრუქტორთა შემადგენლობა.

ასეთი ზომით, სამხედრო სამინისტროს სურს თანდათან მოხსნან სკოლებიდან ნამდვილი სამხედრო სამსახურის ოფიცრები, რომლებსაც დაევალებათ მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობა და მასწავლებელთა გადამზადების საქმე.

## უცხოეთის ავიაცია

**ხანიტარული ჰაეროპლანები.** იმპერიალისტური ომის დროს ჯერ კიდევ საფრანგეთში დაიბადა აზრი, რომ დაჭრილების ბრძოლის ველიდან გადასაყვანათ გამოეყენებიათ ჰაეროპლანები. მაგრამ რადგანაც ფრონტი გაშლილი იყო ისეთ ადგილებში, სადაც ძლიერ განვითარებულია რკინის გზით მიმოსვლა, ამ აზრის ცხოვრებაში განხორციელება ზედმეტი იყო. სრულიად სხვა საომარი პირობები იქნებოდა კოლონიების—ახალშენების წინააღმდეგ გამართულ ომის დროს, სადაც უშველებელ თვალგადუწვდენელ ტერიტორიაში ვერ ნახავთ არა თუ რკინის გზას, არამედ უბრალო მზესაც კი. ამ პირობებში მძიმედ დაჭრილი ჯარის კაცები ხშირად ხდებოდენ სიკვდილის მსხვერპლად უახლოეს საექიმო პუნქტში მისვლამდე.

გაითვალისწინა რა ეს გარემოება 1919—20 წლების გამოცდილებათა მიხედვით, პოლონეთის მთავრობამ სხვა სახელმწიფოების მზგავსად, 1922 წლიდან შეუდგა საჰაერო სანიტარული ტრანსპორტის მოწესრიგების საქმეს. ამ მიზნით შესდგა კომიტეტი, რომელმაც შეაგროვა 100.000 ოქროს შეგროვება შემოწირულების სახით.

ამ ფულით ცნობილ ფირმებს კომიტეტმა შეუკვეთა ორი ჰაეროპლანი თითო სანიტარისა და ორ-ორი დაჭრილის მოსათავსებლად. შემდეგ სექტემბერში შეუკვეთეს კიდევ ერთ ფირმას მესამე ჰაეროპლანი. სექტემბრის ბოლო რიცხვებში პოლონეთმა უკვე მიიღო პირველათ შეკვეთილი ერთი ჰაეროპლანი, რომელიც ორჯერ გამოცდის შემდეგ ცნობილი იქნა საუკეთესოდ. ეს ჰაეროპლანი სამსახურს გაუწევს 100 ვერსის რადიუსში მყოფ სამხედრო ნაწილებს.

ჰაეროპლანით გადაყვანილი იქნებიან ისეთი ავადმყოფები, რომლებსაც დასჭირდებათ საჩქარო ქირურგიული დახმარება.

პოლონეთის ყველა სამხედრო ნაწილების საჭიროებისათვის მთავრობა იძენს 15 ასეთ ჰაეროპლანებს.

## ამბები სოფლებიდან

**საქონლის ჭირი.** საგურამოს თემში (დუშ. მაზ.) თავი იჩინა საქონლის ჭირმა. სამაზრო აღმასკომმა სოფელში დააწესა კარანტინი (საქონლის გაყვან-შემოყვანის აკრძალვა).

**ნადების დახმარება ინვალიდებს.** ოზურგეთის ინვალიდთა ნადმა „მეომარმა“ თავის უზრუნველყოფაზე აიყვანა 1 ნოემბრიდან 7 ომის ინვალიდი.

**ხიდის გაკეთება.** ოზურგეთში არსებულმა ინვალიდთა ნადმა „წით. ვარსკვლავმა“ თავის ხარჯით ააგო ქვის ხიდი ორაგვეს ღელეზე.

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს კამპანია გლეხებში ბავშვებისათვის სავალდებულო სწავლების შესახებ.

შორაპნის აღმასკომის ცნობით ჩოლაბურის ხიდის აგება დაჯდა 50 ათასი მანეთი.

საბჭოთა მუშაკების თელავის კავშირი თავის ხარჯით აგზავნის სოფ. შილდაში კბილის ექიმს.

**ექიმბაშები.** გურიაში უკანასკნელათ ძლიერ გამრავლდენ ექიმბაშები. აღმასკომი ფიქრობს ჩაატაროს მათ წინააღმდეგ სააგიტაციო კამპანია.

## ახალი ამბები.

— მიწათმოქმედების კომისარიატმა საგურამოს გლეხებს გადასცა 1950 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

— სოციალური უზრუნველყოფის საქმეზე ქ. ტფილისში თფილ. აღმასკომმა გადასდო 74.222 მანეთი.

— სოფლებისათვის საექიმო დახმარების გასაწევათ ჯანმრთელობის კომისარიატმა შეადგინა 5 საექიმო რაზმი.

— წითელი ხე. მიწათმოქ. კომისარიატმა სოფ. ახმეტაში (კახეთი) შეაგროვა 2 ნახევარი გირვანქა წითელი ხის თესლი მის მოშენების მიზნით.

— მიწისმზომელთა კურსები. მიწ. მოქ. კომისარიატი ახლო ხანში ხსნის მიწის მზომელთა მოსამზადებელ კურსებს.

— საქართველოს მრეწველობა წარმოებაში წ ლს ჩაბმულია 116.575 მუშა-ხელი.

— ჩქარა მოზარდი ტყეები. „აჭარტყემ“ ამერიკაში შეიძინა ჩქარა მოზარდი ხეები-ჯიშები, ტყის მოსაშენებლათ.

— სიმინდის დამზადება. ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველო შეუდგა აჭარაში 200.000 ფუთი სიმინდის დამზადებას.

— შინა-ვაჭრობის კომისარიატს განზრახვა აქვს სოხუმში მოაწყოს სათევზაო ადგილი და დაამზადოს 10 ათასი ფუთი თევზი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**პასუხი მ. ს.** თქვენ, როგორც პლეხანოვის ქ. № 12 მცხოვრებს და რომელსაც გიკავიათ ერთი ოთახი ზომით 42 კვ. არშინი, ბინის ქირად უნდა გადაიხადოთ: 1924 წ. პირველ ივლისიდან პირველ მარტამდე 1925 წ. თითეულ კვ. არშ. 85 მან. ჯამაგირის მიხედვით 5 კაპ. 50 პროც. გამოკლებით, როგორც სამხედრო პირი—სულ 8 მან. 40 კ.; 1 მარტიდან 1 აპრილამდე 85 მან. ჯამაგირის მიხედვით, იხდით თითეულ კვ. არშ. 8 კ. 25 პროც. გამოკლებით სულ 2 მან. 52 კ., 1 აპრილიდან 1 ივლისამდე (ჯამაგირი 66 მან. თვეში) იხდით 5, 5 კ. კვ. არშ. სულ 5 მან. 20 კ.; 1 ივლისიდან 1 დეკემბრამდე (ჯამაგირი თვეში 74 მან.) თითეულ კვ. არშ. იხდით 8 კ., 25 პროც. გამოკლებით სულ 12 მან. 60 კ. სულ თქვენ უნდა გადაიხადოთ 28 მან. 72 კ. თუ ისეთი რემონტი გაუკეთეთ სახლს, რომლის გაუკეთებლობას ზიანის მიყენება შეეძლო სახლისთვის, ეს ფული შეგიძლიათ ბინის ქირიდან გამოუქვითოთ სახლის პატრონს. თუ სახლის პატრონი ბინის ქირას არ ღებულობს შეგიძლიათ დეპოზიტში შეიტანოთ ხაზინაში.

**ნ. კუპაცაძ.** თქვენ როგორც მოწაფეს შეღავათი გქონიათ 1925 წ. გამოგიწვიეს 1903 წ. დაბადებულებთან ერთად და დაგითხოვენ მათთან ერთად. თუ საშუალო ცოდნა გაქვთ ერთი წლის შემდეგ შეგიძლიათ ჩააბაროთ გამოცდები საშუალო მეთაურზე, რის შემდეგ დათხოვნილი იქნებით უვადო შვებულებაში. ისე კი უნდა იმსახუროთ 2 წელი ქვეითა ჯარში.

**მ—ს.** თუ მიწერილი ხართ ტერ ნაწილზე გამოგიყვანენ ცვალებადათ.

**გ—ძეს** თუ ოჯახური საპატიო მიზეზი ექნება წ. არმიელს, მაშინ მას მიეცემა ათი დღით შვებულება ერთი წლის სამსახურის შემდეგ.

**ს—იას.** წ. ა. ჰონორარს ღებულობენ ყოველ გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციაში.

**ს—ძეს.** საზამთრო ტანსაცმელი რიგდება ოქტომბრიდან.

**მ. სიხარულიძეს.** წითელ არმ. არ შეუძლია იყოს კავშირის წევრი.

**ფრანგიშვილს.** უმცროს მეთაურს შეუძლია ჩააბაროს გამოცდები საშუალო მეთაურზე თუ მას გააგზავნიან. ამის შესახებ ყოველ წლიურად სდგება კომისია, რაც იქნება გამოცხადებული ბრძანებაში.

**რ—ს.** შტაბში მომუშავე წ. ა. ჯამაგირი იმდენი მიეცემა, რამდენიც შტატით არის გათვალისწინებული.

**თოდუას.** უფროსის საშუალებით უნდა აღძრათ შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ კადრიდან გადაგრიცხონ ტერნაწილში.

**მოსიძეს.** ავადმყოფობის გამო მიცემული შვებულება სამსახურში არ ჩაგეთვლებათ.

**ზ—ელავას.** ოჯახური მდგომარეობის გამო სამსახურიდან არ განთავისუფლდებით. თავის დროზე უნდა შეგეტანათ ამის შესახებ საბუთები.

**გულუ ს.** ავადმყოფობით განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მუდმივი საექიმო კომისიის მოწმობით.

**ტ—ძეს.** ლეგბიბლიოთეკაში მუშაობა სწარმოებს 6—7 საათის განმავლობაში.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ა. იმერლიშვილს** (4-ხე ლეგ.). თქვენი კორესპონდენცია: „უვადოშვებულებაში“ ძლიერ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. პ. ძახიძეს** (ცხენ. ლეგიონი) თქვენი შენიშვნა ცუდი პურის შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ვ. ჯაფარიძეს** (4 ხე ლეგ.) თქვენი წერილები სამკითხველოს შესახებ გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

**ამხ. ა. არველაძეს** (1-ლი საარტილერიო) კორესპონდენცია „კიდევ საჭიროებს“, გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთში.

**ამხ. სან-მანს** (4-ხე ლეგ.) წერილი ოქტომბრის რევოლიუციაზე მივიღეთ ძლიერ დაგვიანებით. არ დაიბეჭდება. მოიწერეთ 1 ხვაზე.

**ამხ. ფირცხალავას** (4-ხე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ჩვენი საქმიანობა“ არ გავა. ასეთი წერილი იყო უკვე.

## განცხადება.

წითელ არმიის და ფლოტის სახლთან არსდება საგარნიზონო სიმებიანი ორკესტრი ორ განყოფილებით: 1-ლი ველიკორუსული და 2 აღმოსავლეთის მუსიკა.

თვითეულ განყოფილებისათვის დაარსებულ იქნება ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში მიიღება სიმებიან ორკესტრის მცოდნე პირები, მხოლოდ მეორეში კი—არამცოდნეები ან პირველ დაწყებით ცოდნით.

ჩაწერა სწარმოებს წითელ არმიის და ფლოტის სახლის კომენდანტთან ამხ. პოლიაკოვთან კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 7—10 საათამდე. მისამართი: კალინინის ქ. № 51 (ყოფ. ნიკოლოზის ქ.) სამხედრო მოსამსახურეთა ჩაწერა სწარმოებს ნება-ყოფლობით საფუძველზე უკანასკნელის მიერ ამორჩეულ განყოფილებაში.

წ. ა. ფ. ს. პარტ-პოლიტ-განათლების საბჭოს

პ. მ. მდივნის მაგ. დ. ჭანტურიშვილი.

**დავკარგე** პირადი საქმე (ი. კ. კ.) გაცემული 1 დივიზიის პოლიტგანყოფილების მიერ, კონსტანტინე გიორგის ძე დემეტრაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავკარგე** 1) პირადობის მოწმობა (პასპორტი), გაცემული შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ სერგო ლუკას ძე ურუშაძის სახელზე;

2) სამთო-მადნო მუშათა კავშირის საწევრო წიგნაკი № 194.

აღნიშნული საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.